გამწვანების პროექტი

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV მიკრო რაიონი, კორპ. N42-ის მიმდებარედ. ს.კ: 01.11.17.006.986; მესაკუთრე: შპს „ემ-ემ-ჯი ჯგუფი“მიწის ნაკვეთის საერთო ფართი: 2178 კვ.მგასამწვანებელი ფართი:497კვ.მ. შემსრულებელი: შპს „ტასჰაბი“

JANUARY 1, 2018

TASHUB.GE

არსებული მდგომარეობა









გენ გეგმა



განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV მიკრო რაიონი, კორპ. N42-ის მიმდებარედ. ს.კ: 01.11.17.006.986;

ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის (ყოფილი ეკოლოგიისა და გამწვანების) საქალაქო სამსახურის 03. 01. 2018 #18-011800361 წერილით, შპს „ემ-ემ-ჯი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება 7 ძირი იფანის, 2 ძირი იასამნის, 1 ძირი დიადი ბოყვისა და 1 ძირი აილანთუსის გადარგვის შესახებ.

მიწის ნაკვეთის საერთო ფართი: 2178 კვ.მ

კ3= 497კვ.მ (სსზ-1 335.69/1737=0.2; სზ-6 162.03/441=0.3)

გამწვანების პროექტში გათვალისწინებულია, როგორც გადასარგავი ხეები, ასევე ახალი ნარგავების დარგვა.



პირობითი აღნიშვნები

TASHUB.GE

ფორმატი	A-3

1- ამერიკული ნეკერჩხალი 8 ძირი.

2- ჰიმალაის კედარი 5 ძირი.

3 - იტალიური ფიჭვი 5 ძირი

4 - ოლეანდრა 4 ძირი

5 - ირმის რქა 4 ძირი

6 - იაპონური კვიდო 50 ძირი

7 - გადასარგავი ხე/ბუჩქი 11 ძირი

დამკვეთი: შპს "ემ-ემ-ჯი ჯგუფი"

პირობითი აღნიშვნა:

პროექტის დასახელება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ. თბილისი, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, ჯორჯესი 42-ის მიმდებარედ

ფურცლის დასახელება:

საპროექტო გენგეგმა

თარიღი 2018 წ.	მასშ. 1:500
ფურცლების რაოდენობა	-
ფურცლის ნომერი №	-

დასარგავი ხეების ნუსხა

N	სახეობა	აღწერა	ფოტოფიქსაცია
1	**ამერიკული ნეკერჩხალი Acer negundo**	გვალავაგამძლე სწრაფად მზარდი H=3.5 მ გარშემოწერილობა =20 სმ 8 ძირი	
2	**ჰიმალაის კედარი Cedrus deodora**	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი H=3.0 მ გარშემოწერილობა =20 სმ 5 ძირი	
3	**იტალიური ფიჭვი pinus pinea**	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი H=3.0 მ გარშემოწერილობა =20 სმ 5 ძირი	

www.tashub.ge

4	ოლეანდრი Nerium oleander	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი H=1.5 მ 4 ძირი	
5	ირმის რქა Lagerstroemia indica	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი H=1.5 მ 4 ძირი	
6	კვიდო იაპონური/Ligustrum japonicum	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი H=1.5 მ 50 ძირი	

www.tashub.ge

ფოტომონტაჟი



გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ემ-ემ-ჯი ჯგუფი"
შემსრულებელი შპს"ტასჰაბი" **www.tashub.ge**



საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, N42-კორპუსის მიმდებარედ: ს.კ:01.11.17.006.986

ნებართვის გამცემი ორგანიზაცია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

კ3=497 კვმ; მიწის ნაკვეთის ფართი:2178 კვ.მ

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 2021გაზაფხული



დასარგავი სახეობები: 1)8 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, H=3.5 მ. გარშემოწეილობა 20 სმ. 2)5 ძირი ჰიმალაის კედარი, H=3 მ. გარშემოწეილობა 20 სმ. 3)5 ძირი იტალიური ფიჭვი, H=3 მ. გარშემოწეილობა 20 სმ. 4) 4 ძირი ოლეანდრი, H=1.5 მ. 5) 4 ძირი ირმის რქა H=1.5 მ. 6) 50 ძირი იაპონური კვიდო, H=1.5 მ.
7) გადასარგავი 11 ძირი მწვანე ნარგავი

გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა პატრონობის ხანგრძლივობა 3 წელი

მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი:შპს "ემ-ემ-ჯი ჯგუფი"

ქ.თბილისის მერიის გამწვანებისა და
ეკოლოგიის სამსახურის უფროსს ბ-ნ

გიორგი წერეთელს

ბოტანიკოსისა და ეკოლოგიის
კონსულტანტ, დამოუკიდებელი ექსპერტ,

გრიგოლ დეისაძის

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

დ ა ს კ ვ ნ ა



თბილისი

2017

შესავალი:

კერძო მესაკუთრის მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კერძო ნაკვეთის მცენარეული საფარი მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება , მიკრო/რაიონი IV, კორპუსი № 42-ის მიმდებარედ;

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია:#01.11.17.006.823;
- ფართობი: 2066 კვ.მ;
- მიზნობრივი დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;

საველე კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 21 და 22 სექტემბერს; კვლევა ჩატარდა ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და საჭირო აზომვებით; კოორდინატები აღებული იქნა ხელის GPS ხელსაწყოთი, UTM38 საკოორდინატო სისტემაში. ადგილზე მოხდა ობიექტების ციფრული ფოტოგადაღება.

მესაკუთრე გეგმავს სამშენებლო სამუშაოებს პროექტის მიხედვით, რისთვისაც წარმოიქმნა ხეების მოჭრის საჭიროება.

ჩვენს მიერ აღწუსხული იქნა ნაკვეთზე მოზარდი მერქნიანი მცენარეები, მოხდა მათი სახეობრივი იდენტიფიცირება; შეფასდა სიჯანსაღე;

მიმოხილვა:

შესასწავლი ნაკვეთი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე, ამ კორპუსების წითელი ხაზების მიღმა და გრუნტის გზით ემიჯნება კერძო საცხოვრებელი დაბალსართულიანი, ეზოიანი კერძო სახლებით დაფარულ საცხოვრებელ ზონას (იხ. დანართი გეგმა). მდებარეობიდან გამომდინარე, შესასწავლი ფართი წარსულში გამოყენებული იყო, კორპუსების მოსახლეობის მიერ, ხეხილის ბაღებად და დამხმარე საბოსტნე ნაკვეთებათ. ამაზე მეტყველებს აქ არსებული ზედმეტად მჭიდრო ხეხილის

ნარგაობა და კუსტარულად, ხშირად მეორადი მასალით შემოღობილი მცირე ზომის ე.წ. ბაღები. ამ ბაღების მიგდებისა და მოუვლელობის მახასიათებელია მათი თვითნათესი მცენარეებით ზეჭარბი, ხშირად გაუვალი დაფარვა (განსაკუთრებით ჭარბობს ალუბლის თვითნაყარები და თვითნათესები, რომელთა დათვლა და მათში გაღწევაც თითქმის შეუძლებელია.) რომლებშიც ასევე მოიპოვება საკმაოდ აგრესიული ინვაზიური სახეობის მერქნიანები: აილანთი (სამოთხის ხე-Ailanthus altissima), მწვანე იფანი (Fraxinus pensylvanica). ტერიტორიის ერთ ნაწილზე თვალნათელი ხანძრის კვალი,-ნაზარდი და ხეების ნაწილი გატრუსულ-მიმწვარია და ასევე ბალახის საფარი გადამწვარია.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, რომლითაც ხილ-კენკროვანი მერქნიანი მცენარეების მოჭრას არ ესაჭიროება უფლებამოსილი ორგანოს ნებართვა,- ესენი, ჩვენს მიერ არ იქნა სათითაოდ და ინდივიდუალური აღწერილ-დაფიქსირებული, შემოვიფარგლეთ მათი ზოგადი აღწერითა და საერთო რაოდენობის მითითებით. დანარჩენი სახეობს მერქნიანები აღწერილი იქნა ინდივიდუალურად.

მოგვყავს ნაკვეთზე დაფიქსირებული მცენარეების ჩამონათვალი:

- ხილ-კენკროვნებიდან ნაკვეთზე გვხვდება:

ალუბლები (Cerasus vulgaris)- ნაკვეთზე ფიქსირდება 15-დე ზრდასრული ეგზემპლარი (სიმაღლით 3-დან 6 მეტრამდე; დიამეტრით 12-დან 27 სმ-დე) და 300-ზე მეტი ნათესარი და მოზარდი (დიამეტრი 1-6 სმ; სიმაღლით 0,5-დან, 2,5 მ-დე).

ტყემლები (Prunus divaricata)-6 ერთეული ზრდასრული ეგზემპლარი და ორ ათეულამდე მოზარდი.

ქლიავები (Prunus domestica)- 17 ერთეული ზრდასრული ეგზემპლარი და ათეულამდე მოზარდი.

ლეღვი (Ficus carica)-6 ერთეული ზრდასრული და 2 ც. 1მეტრამდე სიმაღლის ამონაყარი.

ვაშლები(Malus domestica)-16 ერთეული ზრდასრული ხემცენარე.

ბალი (Cerasus avium) - ერთი ზრდასრული ეგზემპლარი.

ჭერამები(Armeniaca vulgaris)-6 ერთეული ზრდასრული ხე.

ზღმარტლი(Mespilus germanica)- ერთი ზრდასრული ეგზემპლარი.

ბროწეული(Punica granatum)- ერთი ზრდასრული ეგზემპლარი.(2მ.-დე სიმაღლის ბუჩქი).

- ნაკვეთზე დაფიქსირდა მწვანე იფანის (Fraxinus pensylvanica) 7 ერთეული თვითნათესი ნერგი, რომელთა დიამეტრი 1-2 სმ.-ია, სიმაღლე 1,2 მ.-დან, 2,5მ.-დე. ისინი ექვემდებარებიან გადარგვას. ჩვენი თვალსაზრისით, მათი გადარგვა არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც,

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, საკმაოდ აგრესიულ ინვაზიურ მცენარეს წარმოადგენენ, ფართოდ არიან გავრცელებული და ხშირ თვითნათესს იძლევიან. მათი გავრცელების კონტროლი საკმაოდ პრობლემატურია.

ეს ეგზემპლარები შემდეგ ლოკაციებზეა(ორგან 2-3 ცალია ერთ კოორდინატზე):

38 T 0486437/ 4625314; 0486447/4625317; 0486406/4625324; 0486448/4625316;

• 38 T 0486426/ 4625327 აქ იზრდება აილანთი (სამოთხის ხე-Ailanthus altissima), დიამეტრი მკერდის დონეზე 10 სმ. სიმაღლე,-5 მ. მას გააჩნია ფესვის ამონაყარი. ესეც ფართოდ გავრცელებული, აგრესიული ინვაზიური მცენარეა და მისი მოჭრა სასურველიცაა.

• თხილი (Corylus avelana) -38 T 0486405/ 4625315 ლოკაციაზე, სიმაღლე 3მ.-დე; პროექციული დაფარულობა 3 კვ.მ. გადარგვადია.

• ასკილები (Rosa canina) სულ სამი ბუჩქია: 1,5; 2 და 3 მ. სიმაღლით. მათი ლოკაციებია:

38 T 0486445/ 4625318; 0486440/ 4625295; 0486445/ 4625317. გადარგვადია.

• იასამნები (Syringa vulgaris) ორი ბუჩქი,2.5 და 3 მ. სიმაღლით.

38 T 0486421/ 4625345; 0486403/ 4625314. გადარგვადი.

• ვაზები (Vitis vinifera) - სულ 13 ძირი ; ისინი მწკრივებადაა გაშენებული, გარაჟის გარშემო არსებული მავრთულის ღობის გასწვრივ, ლოკაციით:

38 T 0486420/ 4625347-სა და 0486423/ 4625341-ს შორის 5 ძირი;

38 T 0486424/ 4625349-სა და 0486428/ 4625347-ს შორის 4 ძირი;

38 T 0486411/ 4625315-სა და 0486415/ 4625320-ს შორის 3 ძირი;

38 T 0486406/ 4625324 1 ძირი;

ამათი გადარგვა სავსებით შესაძლებელია.

• ერთი დიადი ბოყვის (Acer velutinum) თვითნათესი ნერგი (1 მ.-დე სიმაღლით) დაზიანებული ღეროთი, 38 T 0486452/ 4625294 ლოკაციაზე. გადარგვადია.

დასკვნა-რეკომენდაცია:

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის, ნაკვეთის მესაკუთრე მოითხოვს მასზე არსებული მთელი მცენარეულობის მოცილების უფლებას. მოცილება შესაძლოა როგორც მცენარეების გაჩეხვით ასევე მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სხვა ადგილსამყოფელზე

გადარგვით. რეალურად, გარდა ხილკენკროვანი კულტურებისა, ნაკვეთზე მოზარდი თითქმის ყველა დანარჩენი მერქნიანი გადარგვადია.

საშენებლო პროექტი ითვალისწინებს მწვანე ზონებს, რომლებზედაც უფრო გამართული და მიმზიდველი მწვანე ნარგაობის გაშენებაა გათვალისწინებული. ისინი სავარაუდოდ, ღირებულად ჩაანაცვლებენ არსებულ ქაოტურ,არარეგულარულ და ესთეტურად არამიმზიდველ მცენარეულობას, ამდენად გამართლებულად მიგვაჩნია ნებართვის გაცემა.

24 სექტემბერი 2017 წ.

გრიგოლი დეისაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.17.006.823**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017510614 - 14/06/2017 12:56:40

მომზადების თარიღი
16/06/2017 10:43:17

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**17**	**006/823**

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი IV , კორპუსი N42-ის მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2066.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017510614 , თარიღი 14/06/2017 12:56:40
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/06/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/06/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს ემ-ემ-ჯი ჯგუფი , ID ნომერი:404508724

მესაკუთრე:	აღწერა:
შპს ემ-ემ-ჯი ჯგუფი	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.17.006.986**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018432248 - 22/05/2018 09:32:05

მომზადების თარიღი
23/05/2018 18:31:40

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**17**	**006/986**

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2178.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.11.17.023.088; 01.11.17.006.823;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018432248 , თარიღი 22/05/2018 09:32:05
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/06/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2018040564736 უ.უ. , დამოწმების თარიღი:24/04/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს ემ-ემ-ჯი ჯგუფი , ID ნომერი:404508724

მესაკუთრე:
შპს ემ-ემ-ჯი ჯგუფი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge